ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ
ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ
Ო Ქ Მ Ი № 54

ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 23 აგვისტო 2012 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე - სულხან მოწყობილი.
**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის წევრი - ნუგზარ ძნელაძე.
კომისიის მდივანი - გელა ცინცაძე.
კომისიის წევრები: ზვიად ანანიძე, ნუგზარ ცინცაძე, სულხან მამუჭაძე.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, თხილნარისა და ჭარნალის დასახლებაში, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მიწის ნაკვეთის წინასაპროექტო-საძიებო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული **№ 615 კონკურსის შედეგების განხილვა.**

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ: ნუგზარ ძნელაძემ საკონკურსო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ხუთმა კონკურსანტმა: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტომ", შპს „ნგ ჯგუფმა", „შაჰინ მუნდესლიქ ჰარითა ინშაათ თარიმ თურიზმ სანაი ვე თიჯარეთ ლიმითედ შირქეთმა", შპს „აჭარსპეცპროექტმა" და შპს „გეომეფმა".

„შაჰინ მუნდესლიქ ჰარითა ინშაათ თარიმ თურიზმ სანაი ვე თიჯარეთ ლიმითედ შირქეთისა" და შპს „გეომეფის" მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საკონკურსო განცხადების მე-6 პუნქტის 6.2 ქვეპუნქტის მოთხოვნებს რის გამოც აღნიშნული კონკურსანტები ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს", შპს „ნგ ჯგუფისა" და შპს „აჭარსპეცპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, რის შემდგომაც საკონკურსო კომისიის წევრებმა განახორციელეს აღნიშნული კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება. (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, თხილნარისა და ჭარნალის დასახლებაში, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მიწის ნაკვეთის წინასაპროექტო-საძიებო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ № 615 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით ყველაზე მაღალი ჯამური ქულა - 46,6 ქულა მიენიჭა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს", შესაბამისად აღნიშნული კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად.

**დაადგინეს:** 1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 17 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, თხილნარისა და ჭარნალის დასახლებაში, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მიწის ნაკვეთის წინასაპროექტო-საძიებო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№ 615** კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო".

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს გამარჯვებულ კონკურსანტს.

3. გაფორმდეს ხელშეკრულება გამარჯვებულ კონკურსანტთან არაუგვიანეს 2012 წლის 30 აგვისტოსა.

4. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: ________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის მდივანი: ________ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: ________ /ზ. ანანიძე/

________ /ნ. ცინცაძე/

________ /ს. მამუჭაძე/

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის
შეფასება

კონკურსი № 615

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 7 | 3,5 | 5 | 2,5 | 6 | 3 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 8 | 2,4 | 6 | 1,8 | 6 | 1,8 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 |
| **საერთო ჯამი** | | 7,3 | | 5,7 | | 6,2 | |

კომისიის თავმჯდომარე

ს. მოწყობილი

---------------------------------------
( ხელწერა)

23.08.2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის წევრის
შეფასება

კონკურსი № 615

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 8 | 4.0 | 5 | 2,5 | 6 | 3,0 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 10 | 3.0 | 8 | 2.4 | 7 | 2.1 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1.4 | 7 | 1.4 | 7 | 1.4 |
| **საერთო ჯამი** | | 8.4 | | 6.3 | | 6.5 | |

კომისიის წევრი

ნ. ძნელაძე ------------------------------
( ხელწერა)

23.08.2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის მდივნის
შეფასება

კონკურსი № 615

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 8 | 4 | 6 | 3 | 7 | 3,5 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 8 | 2,4 | 6 | 1,8 | 6 | 1,8 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 | 7 | 1,4. |
| **საერთო ჯამი** | | 7,8 | | 6,2 | | 6,7. | |

კომისიის მდივანი

გ. ცინცაძე

------------------------
( ხელწერა)

23.08.2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის წევრის
შეფასება

**კონკურსი № 615**

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 7 | 3,5 | 5 | 2,5 | 6 | 3.0 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 10 | 3,0 | 8 | 2,4 | 8 | 2,4 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 |
| **საერთო ჯამი** | | | 7,9 | | 6,3 | | 6,8 |

კომისიის წევრი

ზ. ანანიძე

-----------------------------
( ხელწერა)

23.08.2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის წევრის
შეფასება

კონკურსი № 615

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 7 | 3,5 | 5 | 2,5 | 6 | 3 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 8 | 2,4 | 6 | 1,8 | 6 | 1,8 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1,4 | 7 | 1,4 | 7. | 1,4. |
| **საერთო ჯამი** | | 7,3. | | 5,7. | | 6,2. | |

კომისიის წევრი

ნ. ცინცაძე

( ხელწერა)

23.08.2012 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საკონკურსო კომისიის წევრის
შეფასება

კონკურსი № 615

| დასახელება | შეფასების კოეფიციენტი | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" | | შპს „აჭარსპეცპროექტი" | | შპს „ნგ ჯგუფი" | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.5 | 7 | 3.5 | 5 | 2.5 | 6 | 3.0 |
| სპეციალისტთა კვალიფიკაცია | 0.3 | 10 | 3.0 | 10 | 3.0 | 8 | 2.4 |
| დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა | 0.2 | 7 | 1.4 | 7 | 1.4 | 7 | 1.4 |
| **საერთო ჯამი** | | 7.9 | | 6.9 | | 6.8 | |

კომისიის წევრი

ს. მამუჭაძე ---------------------------------------- (ხელმოწერა)

23.08.2012 წ.

# ხელწერილი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 17 აგვისტოს გამოცხადებულ №615 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე: ______________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: ______________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის მდივანი: ______________ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: ______________ /ზ. ანანიძე/

______________ /ნ. ცინცაძე/

______________ /ს. მამუჭაძე/

23 აგვისტო 2012 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/4263

„23" აგვისტო 2012 წ.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს
დირექტორს შალვა ჯავახაძეს

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 17 აგვისტოს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ № 615 კონკურსში გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, მობრძანდეთ რათა გაფორმდეს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არაუგვიანეს 2012 წლის 30 აგვისტოსა.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/4265 „23" მაისი 2012 წ.

„შაჰინ მუნდესლიქ ჰარითა ინშაათ თარიმ თურიზმ
სანაი ვე თიჯარეთ ლიმითედ შირქეთ"-ის
დირექტორს მეჰმეთ იაშარ ქომორჯუოღლუს

გაცნობებთ, რომ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კონკურსში მონაწილეების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს: ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი; ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნას თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№01-10/4264

„23" აპრილი 2012 წ.

შპს „გეომეფი"-ს დირექტორს
დათა კვარაცხელიას

გაცნობებთ, რომ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს: ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი; ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი კონკურსში მონაწილების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge